

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ზ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ზუცხრიკიძე

„14“ „07“ 2014 წელი

ეგზ. № 1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების

ფინანსური აუდიტის ანგარიში

01.01.2012 - 01.01.2014

№ 12/00

სარჩევი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ.....	5
2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	6
არაფინანსური აქტივების აღიკვეთა	6
❖ არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების აღიკვეთა.....	6
❖ საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების აღიკვეთა	8
❖ სხვა ნაგებობების აღიკვეთა.....	9
❖ მანქანა - დანადგარების და ინვენტარის აღიკვეთა	11
❖ სხვა ძირითადი აქტივების აღიკვეთა.....	11
მატერიალური მარაგების აღიკვეთა.....	12
კრედიტორული დავალიანებების აღიკვეთა.....	13
საცნობარო მუხლების აღიკვეთა	14
❖ საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მასთან დაკავშირებული დანახარჯები	14
აუდიტის დასკვნა.....	15
სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში	16
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ.....	16
2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	17
არაფინანსური აქტივების აღიკვეთა	17
❖ არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების აღიკვეთა	17
❖ საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების აღიკვეთა	18
საცნობარო მუხლების აღიკვეთა	19
❖ საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მასთან დაკავშირებული დანახარჯები	19
აუდიტის დასკვნა.....	20
სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება.....	21
სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება.....	41
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	60
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	60

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

აუდიტის ობიექტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2012 და 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. მუნიციპალიტეტი ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ბალანსს და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. კერძოდ: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების, ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების“ შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ეთიკის ყველა ის მოთხოვნა, რასაც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე, მათ შორის, აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან შეუსაბამობის რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონშესაბამისობისა და მართლზომიერების უზრუნველყოფისათვის, რათა დაგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლების შესაქმნელად.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საკუთარი ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსულობები, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს. საკუთარი შემოსულობებით მუნიციპალიტეტი ახდენს საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებების დაფინანსებას. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და სპეციალური ტრანსფერით, საიდანაც აფინანსებს სხვადასხვა ღონისძიებებს.

2012 წელს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 12259.6 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 9582.2 ათასი ლარი (78%) არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი, მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებულია 4 212.1 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 160.9 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი 5209.2 ათასი ლარი მიღებულია სპეციალური ტრანსფერის სახით.

2012 წელის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 13004.7 ათასი ლარი. გადასახდელების 60%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 40%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა. 2012 წელს მუნიციპალიტეტის მიერ არაფინანსური აქტივის ზრდის კუთხით ძირითადად განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქუჩების მოასფალტებისა და გარე განათების სამუშაოები.

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული რისკზე საპასუხოდ ჩატარდა აუდიტორული პროცედურები, რომლებიც გულისხმობს შიდა კონტროლის სისტემისა და საანგარიშო წლის განხორციელებული ოპერაციების შესწავლას, იმის დასადგენად, რამდენად სამართლიანად და საიმედოდ არის წარმოდგენილი ოპერაციები ფინანსურ ანგარიშგებაში. მუნიციპალიტეტი საბუღალტრო ოპერაციებს ასახავს პროგრამაში,

სადაც გატარების მოკორესპონდენტო ანგარიშები არ არის ინტეგრირებული ერთმანეთთან, რაც შესაბამისად მოითხოვს ერთი ოპერაციის შესაბამის ანგარიშებზე ცალ-ცალკე გატარებას.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები მიღებულია როგორც სარწმუნო.

როგორც ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით გამოვლინდა, მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობების გამოვლენას ან/და თავიდან აცილებას. აუდიტის შედეგად გამოვლინდა უზუსტობები და რიგი გარემოებები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

არაფინანსური აქტივების აღიცხვა

❖ არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების აღიცხვა

სამტრედიის მუნიციპალიტეტმა 2012 წელს განახორციელა ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის სახლის რეაბილიტაცია. სარეაბილიტაციო სამუშაოები შეასრულა ორმა მიმწოდებელმა შპს „ეს-ეს ჰაუზ დეკორმა“ და შპს „ჯეო ხარისხმა“.

მუნიციპალიტეტმა შპს „ეს-ეს ჰაუზ დეკორთან“ გააფორმა ორი ხელშეკრულება, რომლებიც გულისხმობდა კულტურის სახლში სცენისა და დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებას, ღირებულებით 345.7 ათასი ლარი და სკამების

დამონტაჟებას, ღირებულებით 31.0 ათასი ლარი. გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელმა სრულად შესარულა 376.7 ათასი ლარის სამუშაო.

შპს „ჯეო ხარისხმა“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შეასრულა ეროსი მანჯგალადის სახელობის კულტურის ცენტრის შენობის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები ღირებულებით 105.1 ათასი ლარი. გარდა ამისა, საპროექტო ხარჯთაღრიცხვის შედგენისა და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურებისათვის პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტმა გასწია 12.8 ათასი ლარის დანახარჯი. ყველა დანახარჯის გათვალისწინებით¹ ეროსი მანჯგალადის სახელობის კულტურის სახლის რეაბილიტაციაზე დახარჯულია 494.6 ათასი ლარი, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა იყოს აღიარებული არაფინანსურ აქტივად.

2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივის ზრდაში ეროსი მანჯგალადის სახელობის კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება წარმოდგენილია 252.5 ათასი ლარით, რაც 242.1 ათასი ლარით ნაკლებია რეალურად მასზე გაწეულ კაპიტალურ დანახარჯზე.

გავლენა

- არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობის ღირებულების არასწორი შეფასების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმა №2-1, №5) „შენობა-ნაგებობის“ მუხლი შემცირებულია 242.1 ათასი ლარით.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და ერიცხება ცვეთა. რადგან შენობის ღირებულება ბალანსში შემცირებული თანხით არის ნაჩვენები, 2012 წელს მასზე დარიცხული ცვეთის მაჩვენებელი არასწორია. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის და ბალანსის დანართები ფორმა №3 და ფორმა № 5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ არასწორად არის წარმოდგენილი.

¹ იგულისხმება საპროექტო, ტექნიკურ ზედამხედველობასა და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დანახარჯები.

- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსში წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

❖ საცხოვრებელი შენობება-ნაგებობების აღრიცხვა

2012 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტმა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლისა და შიდა კომუნიკაციების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გააფორმა ხელშეკრულებები სხვადასხვა მიმწოდებლებთან². წლის განმავლობაში გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მომწოდებლებმა შეასრულეს 152.1 ათასი ლარის სამუშაოები³. სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო ხარჯთაღრიცხვის შედგენასა და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურებაზე დანახარჯი შეადგენს 3.0 ათას ლარს. მათი გათვალისწინებით წლის მანძილზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გაწეულმა დანახარჯმა შეადგინა 155.1 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს არაფინანსურ აქტივს და უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ აღნიშნული ოპერაცია მუნიციპალიტეტის მიერ არ განხორციელებულა.

გავლენა

- საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის ღირებულების აქტივად არაღიარების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმა №2-1, №5) „არასაცხოვრებელი შენობების“ მუხლი 155.1 ათასი ლარით ნაკლები თანხით არის წარმოდგენილი.

² შპს „ინტერიერი“- № 175 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულდა 28.4 ათასი ლარის სამუშაო, შპს „უნივერსალი“ - № 159 ხელშეკრულება -59.9 ათასი ლარი, შპს „უნივერსალი“ - №104 ხელშეკრულება - 49.2 ათასი ლარი, ი/მ „ბადრი გორგოძე“ - №151 ხელშეკრულება -7.2 ათასი ლარი, ი/მ „ბელა იქევსკი“ - №180 -3.0 ათასი ლარი, ი/მ „მერაბ ვაშაკიძე“ - №209 ხელშეკრულება -4.4 ათასი ლარი.

³ მრავალსართულიანი ბინების სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულებულია ამხანაგობის 10%-ანი და გამგეობის 90%- იანი დაფინანსებით, წარმოდგენილ თანხაში იგულისხმება გამგეობის მიერ დაფინანსებული 90%.

❖ სხვა ნაგებობების აღრიცხვა

სხვა ნაგებობები. 2012 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა სოფლებში განახორციელა გაზის მშენებლობის სამუშაოები. გაზიფიცირების პროექტი შეადგინა შპს „საქგაზპროექტმა“, ღირებულებით 17.1 ათასი ლარი, ხოლო სამუშაოების შესასრულებლად ხელშეკრულება გაუფორმდა შპს „საქორგაზს“. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ 249.0 ათასი ლარი შეადგინა. გარდა აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტმა გაზიფიცირების სამუშაოებისათვის გამოიყენა 38.1 ათასი ლარის ღირებულების პლასტმასის მილები. ამის გარდა, გაზიფიცირების სამუშაოებზე გაიხარჯა: ტრანშეს ამოღებითვის - 11.4 ათასი ლარი და სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურებაზე - 2.9 ათასი ლარი. სულ გაზიფიცირების სამუშაოების ღირებულებამ შეადგენა 318.5 ათასი ლარი. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სამუშაოების ღირებულება წარმოდგენილია 251.9 ათასი ლარით, რომელიც მოიცავს მხოლოდ შპს „საქორგაზისა“ და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურებისათვის გაწეულ დანახარჯს. რაც შეეხება საპროექტო ხარჯთაღრიცხვის, გამოყენებული პალსტმასის მილებისა და ტრანშეას გაჭრის ღირებულებას, ჯამური ღირებულებით - 66.6 ათასი ლარი, რომელიც ექვემდებარება ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსურ აქტივად აღიარებას, მუნიციპალიტეტის მიერ აღრიცხულია ხარჯად.

გავლენა

- გაწეული 66.6 ათასი ლარის დანახარჯების არაფინანსურ აქტივად აღურიცხველობა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი (ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმა №5) „სხვა ნაგებობების“ მუხლის სისწორეზე.

გარე განათების სამუშაოები. 2012 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტში შესრულდა 733.4 ათასი ლარის ღირებულების გარე განათების მოწყობის სამუშაოები. სამუშაოების პროექტის შედგენასა და ტექნიკური ზედამხედველობის

მომსახურებისათვის გახარჯულია 28.8 ათასი ლარი. მათი გათვალისწინებით, სულ 2012 წელს გარე განათების სამუშაოებისათვის გაწეული დანახარჯი შეადგენს 762.2 ათას ლარს. ფინანსურ ანგარიშგებაში გარე განათების სამუშაოების ღირებულება წარმოდგენილია 848.8 ათასი ლარით. მათ შორის სხვაობა 86.6 ათასი ლარი წარმოადგენს 2011 წლის დაუმთავრებელი მშენებლობის ნაშთიდან გადმოტანილ 45.4 ათასი ლარის გარე განათების სამუშაოების ღირებულებას და მუნიციპალიტეტის მიერ პოლიციის შენობის ენერგოსისტემაზე დაერთებისათვის გაწეულ 41.2 ათასი ლარის ხარჯს. აღნიშნული ხარჯი მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულია „გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის“ მუხლიდან⁴ (არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით), რაც არასწორია, რადგან პოლიცია არ არის გარე განათების ობიექტი და პოლიციაზე ხარჯების გაწევა შესაძლებელი იყო „საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების“ მუხლიდან. ამდენად, მუნიციპალიტეტს ძირითად საშუალებებში ერიცხება ისეთი ქონება, რომელიც რეალურად არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა გადაეცეს შესაბამის (პოლიციის) უწყებას.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმა №5) „სხვა ნაგებობების“ მუხლი არასწორად არის გაზრდილი 41.2 ათასი ლარით.
- რადგან გარე განათების ღირებულება ბალანსში გაზრდილი თანხით არის ნაჩვენები, შესაბამისად, მასზე დარიცხული ცვეთით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის და ბალანსის დანართები ფორმა №3 და ფორმა № 5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსში) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

⁴ ორგანიზაციული კოდი 05 14.

❖ მანქანა - დანადგარების და ინვენტარის აღრიცხვა

2010 წლის 7 ივლისს, ფიზიკურმა პირმა, ნუგზარ ჯამბურამ სამტრედიის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ გადასცა 3.3 ათასი ლარის კომპიუტერული ტექნიკა. აქტივი მუნიციპალიტეტის ბალანსზე აყვანილია 2012 წელს. აღნიშნული ოპერაცია არასწორია, რადგან აქტივი 2010 წელს არის გადმოცემული, ის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა იყოს აღიარებული შესაბამის პერიოდში და დაერიცხოს ცვეთა. ოპერაციის დროში არასწორად გამიჯვნის გამო „უსასყიდლოდ გადმოცემის“ მუხლი არაზუსტი თანხით არის წარმოდგენილი, გარდა ამისა, 2010-2011 წლებში დასარიცხი ცვეთის თანხით გაზრდილია მისი ღირებულება.

გავლენა

- აქტივის დროში არასწორი გამიჯვნა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივის შესაბამისი მუხლისა და საწყისი ნაშთის სისწორეზე.

❖ სხვა ძირითადი აქტივების აღრიცხვა

2007 წელს შპს „საქართველოს რკინიგზამ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ გადასცა სამტრედიის ლოკომოტივის ბაზაზე არსებული სპორტული კომპლექსი, რომელიც მუნიციპალიტეტის ბალანსზე აყვანილია ღირებულებით 1692.9 ათასი ლარი. 2012 წლის ივლისში ქონება შეფასდა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის სამსახურის მიერ და მისი ღირებულებად განისაზღვრა 2180.0 ათასი ლარი. 2012 წლის ივლისში, საკრებულოს ბრძანებით აღნიშნული ქონება თხოვნის ფორმით გადაეცა ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სპორტულ სკოლას“ (ამ პერიოდისათვის მისი ნარჩენი ღირებულება იყო 1362.4 ათასი ლარი). აღნიშნული სტადიონი მოხსნილია მუნიციპალიტეტის ბალანსიდან, ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებია არაფინანსური აქტივების „უსასყიდლოდ გადაცემის“ მუხლში. გამომდინარე იქედან, რომ ქონება გადაცემულია უსასყიდლო თხოვნის ფორმით, ის წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და მისი ბალანსიდან მოხსნა და „უსასყიდლოდ

გაცემის“ მუხლში ჩვენება არასწორია. აქტივი შესაბამის პერიოდში აღრიცხული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე, ექსპერტის დასკვნით შეფასებული ღირებულებით 2180.0 ათასი ლარით და უნდა ერიცხებოდეს ცვეთა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმა №5) უსასყიდლოდ გადაცემის მუხლი არასწორად არის გაზრდილი 1362.4 ათასი ლარით.
- რადგან ექსპერტის შეფასებით აქტივის ღირებულება შეადგენს 2180.0 ათას ლარს, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის და ბალანსის დანართი ფორმა ფორმა № 2-1, № 5) აქტივის ღირებულება შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი.
- აქტივზე დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსში „წმინდა ღირებულების მუხლის“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-სა და №5-ში წარმოდგენილ „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლის სისწორეზე.

მატერიალური მარაგების აღიკვეთა

გარემოება 1. სამტრედიის მუნიციპალიტეტმა გაზიფიცირების სამუშაოების შესასრულებლად შპს „პოლიმერკონტეინერისგან“ შეიძინა 103.3 ათასი ლარის პოიეთილენის მილები. დაგეგმილი სამუშაოებისათვის წლის მანძილზე გაიხარჯა 38.1 ათასი ლარის მილები. ბუღალტრულ ჩანაწერებში მატერიალური მარაგებიდან სულ ჩამოწერილია 22.9 ათასი ლარის ღირებულების მილები. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მატერიალური მარაგების ნაშთი მოიცავს გახარჯული 15.2 ლარის მილების ღირებულებას.

გავლენა

- მუნიციპალიტეტის ბალანსში მატერიალური მარაგების მუხლი გახარჯული მილების ღირებულებით არასწორად არის წარმოდგენილი.

გარემოება 2. სამტრედიის მუნიციპალიტეტს 2012 წელს სხვადასხვა ორგანიზაციებიდან გადმოცემული აქვს 52.9 ათასი ლარის რამდენიმე სახის ქონება, კერძოდ: ცემენტი, საწვავი, სამშენებლო მასალა, ტანსაცმელი და ჰიგიენური საშუალებები და სხვ. მიღებული მატერიალური მარაგებიდან გახარჯულად ნაჩვენებია 15.6 ათასი ლარის ქონება. გადმოცემული ქონება მუნიციპალიტეტის მიერ არ არის აღებული შემოსავალში მატერიალური მარაგების შესაბამის ანგარიშებზე. ბუღალტრულ ჩანაწერებში ქონება აღრიცხულია საცნობარო მუხლში, მაგრამ არსებული ნაშთები არ არის წარმოდგენილი 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მატერიალური მარაგების მუხლის სისწორეზე.

კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვა

2011 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტმა ქალაქის ტერიტორიაზე დეკორატიული ფილების მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე გააფორმა ხელშეკრულება შპს „მონოლითმშენთან“, ღირებულებით 257.9 ათას ლარი⁵. ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოები უნდა დამთავრებულიყო 2011 წლის 20 ნოემბერს. მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოებიდან შეასრულა მხოლოდ 132.9 ათასი ლარის სამუშაო⁶. მუნიციპალიტეტმა 2011 წელს მიმწოდებელს აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოების ღირებულების ნაწილი - 64.5 ათასი ლარი, ხოლო 68.4 ლარი დარჩა კრედიტორულ დავალიანებად. 2012 წლის 1 იანვრისათვის გამგეობის ბალანსზე კრედიტორული დავალიანება 68.4 ათასი ლარი აღიარებული არ არის,

⁵ 21 ივნისის №105 ხელშეკრულება(SPA 110013970).

⁶ სამუშაოები არ დამთავრებულია შპს „მონოლითმშენის“ დირექტორის დაკავებების გამო.

ამასთან შესრულებული 132.9 ათასი ლარის სამუშაოებიდან აქტივად აღიარებულია მხოლოდ 64.5 ათასი ლარის სამუშაო.

ამდენად, მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წელს არ მოხდა შპს „მონოლითმშენის“ მიერ შესრულებული 68.4 ათასი ლარის სამუშაოს აქტივად აღიარება და შესაბამისად, აღნიშნული თანხით შპს „მონოლითმშენის“ კრედიტორად აღრიცხვა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი) 2012 წლის 1 იანვრისათვის არაფინანსური აქტივების „დაუმთავრებელი მშენებლობის“ მუხლი 68.4 ათასი ლარით ნაკლებია ნაჩვენები.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი) 2012 წლის 1 იანვრისათვის 68.4 ათასი ლარით ნაკლებია ნაჩვენები ფინანსური ვალდებულებებისა და სხვა კრედიტორული დავალიანების მუხლი - „ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან“.

საცნობარო მუხლების აღრიცხვა

❖ საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მასთან დაკავშირებული დანახარჯები

სამტრედიის მუნიციპალიტეტს 2012 წელს იჯარით აქვს აღებული ჯანელიძის №2 -ში მდებარე 500 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის და მასზე არსებული 345 კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობა. საიჯარო ქირა წლიურად შეადგენს 7.2 ათას ლარს. აღნიშნულ ქონებაზე საიჯარო ხელშეკრულება მუნიციპალიტეტმა გააფორმა 2011 წელს და შენობაში დაასაწყობა 22 სახის სხვადასხვა დასახელების საქონელი (ფერადი ფილა, შუქნიშნის კომპლექტი, ნაგვის კონტეინერი, ნათურები, კაბელი და სხვ.). 2011-2012 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ დასაწყობებული ქონების ღირებულება შეფასებული არ არის, ქონებას არ ჰყავს მატერიალური პასუხისმგებელი პირი, აღრიცხული არ არის ბუღალტერიაში და არ უტარდება ინვენტარიზაცია. შესაბამისად, ვერ დგინდება რა ღირებულების აქტივს ფლობს მუნიციპალიტეტი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანებით განსაზღვრულია აქტივები, რომლებიც იჯარით მიღებულია სხვა ორგანიზაციებიდან, იჯარის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ღირებულებით აღირიცხება „საცნობარო მუხლში“, როგორც საოპერაციო იჯარით აღებული აქტივები და მასთან დაკავშირებული დანახარჯები. მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული ოპერაცია საცნობარო მუხლში წარმოდგენილი არ არის.

გავლენა

- აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საცნობარო მუხლის სისწორეზე.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

- ✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანება;
- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- ✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

2013 წელს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, შეადგინა 11548.3 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 8794.8 ათასი ლარი (76%) სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერია, მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებული აქვს 4385.0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 176.5 ათასი ლარს, ხოლო დანარჩენი 4233.3 ათასი ლარი მიღებულია სპეციალური ტრანსფერის სახით.

2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 11373.5 ათასი ლარი. გადასახდელებიდან 7850.7 ათასი ლარი (69%) შეადგენს ხარჯებს, ხოლო დანარჩენი 3522.8 ათასი ლარი წარმოადგენს არაფინანსური აქტივების ზრდას. 2013 წელს მუნიციპალიტეტის მიერ არაფინანსური აქტივის ზრდის კუთხით ძირითადად განხორციელებულია შემდეგი აქტივობები:

- შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- გზის შეკეთების სამუშაოები;
- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესრულებული სხვადასხვა სამუშაოები;
- ძირითადი საშუალებებისა და სატრასპორტო საშუალებების შეძენა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის წარმოდგენილი არაფინანსური აქტივების (საცხოვრებელი შენობები; არასაცხოვრებელი შენობები; გარე განათება; მანქანა-დანადგარები და ინვენტარი; სხვა ძირითადი აქტივები), მატერიალური მარაგების და საცნობარო მუხლები. 2012 წელს ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად წარმოდგენილი ჩამოთვლილი მუხლები არსებით გავლენას

ახდენს 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

არაფინანსური აქტივების აღიცხვა

❖ არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების აღიცხვა

2013 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტმა შპს „ამაგთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელა ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. ხელშეკრულება გულისხმობდა სახურავის რეაბილიტაციასა და მეტალოპლასტმასის სახურავის ჩასმას. სულ შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 89.1 ათას ლარს, ხოლო საპროექტო ხარჯთაღრიცხვის შედეგენასა და ტექნიკური მომსახურებისათვის გაიხარჯა 2.6 ათასი ლარი. სულ, სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ყველა დანახარჯის გათვალისწინებით, გაიხარჯა 91.7 ათასი ლარი.

აღნიშნული ოპერაცია არის კაპიტალური დანახარჯი და შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს „არაფინანსური აქტივის“ ზრდაში და შესაბამისი კოეფიციენტის მინიჭების საფუძველზე დაერიცხოს ცვეთა. ოპერაცია „არაფინანსურ აქტივად“ აღიარებული მხოლოდ 34,2 ათასი ლარი. აღნიშნულის გამო ზუსტი თანხით არ არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების შესაბამისი მუხლი.

გავლენა

- არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობაზე გაწეული კაპიტალური დანახარჯის აქტივად არაღიარების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმა №2-1 და №5) „არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობის“ მუხლი 89.1 ათასი ლარით შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი.
- რადგან შენობის ღირებულება ბალანსში წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად, მას არ ერიცხება ცვეთა. ამ მიზეზით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის და ბალანსის დანართები ფორმა №3 და ფორმა № 5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი ნაკლები თანხით არის წარმოდგენილი.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსში წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

❖ საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების აღრიცხვა

2013 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტმა შპს „უნივერსალთან“ გააფორმა ხელშეკრულებები⁷ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლისა და შიდა კომუნიკაციების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაზე. ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 84.0 ათასი ლარი⁸, ხოლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ღირებულებამ - 0.7 ათასი ლარი. სულ აღნიშნულ სამუშაოებზე გახარჯულია 84.7 ათასი ლარი, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულია ხარჯად და წარმოდგენილია „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში. გამომდინარე იქედან, რომ შესრულებული სამუშაოები არის კაპიტალური ხარჯი, ფინანსურ ანგარიშგებაში გაწეული დანახარჯი აღიარებული უნდა იყოს არაფინანსურ აქტივად და ერიცხებოდეს ცვეთა. აღნიშნული ოპერაცია ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის აღრიცხული, რაც გავლენას ახდებს აქტივების და ასევე ხარჯების შესაბამისი მუხლების სისწორეზე.

⁷ შპს „უნივერსალმა“ № 122 ხელშეკრულების ფარგლებში შეასრულა 61.2 ათასი ლარის, ხოლო № 190

ხელშეკრულების ფარგლებში - 22,8 ათასი ლარის სამუშაო.

⁸ მრავალსართულიანი ბინების სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულებულია ამხანაგობის 10%-იანი და გამგეობის 90%-იანი დაფინანსებით, წარმოდგენილ თანხაში იგულისხმება გამგეობის მიერ დაფინანსებული 90%.

გავლენა

- საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის ღირებულების აქტივად არაღიარების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმა №5) „არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობის“ მუხლი 84.7 ათასი ლარით ნაკლები თანხით არის წარმოდგენილი.

საცნობარო მუხლების აღრიცხვა

❖ საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მასთან დაკავშირებული დანახარჯები

სამტრედიის მუნიციპალიტეტს 2013 წელს, იჯარით აქვს აღებული ჯანელიძის №2-ში მდებარე 500 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის და მასზე არსებული 345 კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობა. საიჯარო ქირა წლიურად შეადგენს 7.2 ათასი ლარს. შენობაში დასაწყობებულ მუნიციპალიტეტის ქონებას არ ჰყავს მატერიალური პასუხისმგებელი პირი, აღრიცხული არ არის ბუღალტერიაში და არ უტარდება ინვენტარიზაცია. შესაბამისად, ვერ დგინდება რა ღირებულების აქტივს ფლობს მუნიციპალიტეტი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანებით განსაზღვრულია აქტივები, რომლებიც იჯარით მიღებულია სხვა ორგანიზაციებიდან, იჯარის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ღირებულებით აღირიცხება საცნობარო მუხლში, როგორც საოპერაციო იჯარით აღებული აქტივები და მასთან დაკავშირებული დანახარჯები. მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული ოპერაცია საცნობარო მუხლში წარმოდგენილი არ არის.

გავლენა

- აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საცნობარო მუხლის სისწორეზე.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანება;

✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება

ბალანსი - ფორმა №1

(ათასი ლარი)

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისა თვის	ნაშთი წლის (კვარტალის) ბოლოს
I. ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები				
10	ნაღდი ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
20	ნაღდი ფული საღაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
30	საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში	1211	1013.5	268.4
40	სავალუტო ანგარიში ბანკში	1212		
50	დეპოზიტები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1213		
60	დეპოზიტები ბანკში უცხოურ ვალუტაში	1214		
70	სხვა ანგარიშები ბანკში	1215		
80	ანგარიში ხაზინაში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1221		
90	საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ხაზინაში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის	1222		
100	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1223		
110	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1224		
120	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1225		
130	სხვა ფინანსური აქტივები	1300		
140	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1410		
150	მოთხოვნები მივლინებით	1421		
160	მოთხოვნები დანაკლისებით	1422		
170	ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები	1423		
180	ანგარიშვალდებული პირის მიმართ მოთხოვნა ხაზინიდან გადარიცხული თანხით	1424		
190	გადახდილი დღგ	1431		
200	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1432		
210	სხვა საგადასახადო აქტივი	1433		

220	წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	1441		
230	მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით	1442		
240	მისაღები პროცენტები	1443		
250	მისაღები დივიდენდები	1444		
260	მისაღები საწევროები და ერთჯერადი შენატანები	1445		
270	სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები	1446		
II. არაფინანსური აქტივები				
280	შენობა-ნაგებობები	2110	5818.2	5296.4
290	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	380.7	685.8
300	სხვა ძირითადი აქტივები	2130	693.8	4063.6
310	დაუმთავრებელი მშენებლობა	2140	116.8	
320	სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები	2150	1359.7	1591.5
330	სტრატეგიული მარაგები	2210		
340	სხვა მატერიალური მარაგები	2220	17.03	104.2
350	ფასეულობები	2300		
360	არაწარმოებული აქტივები	2400		
ბალანსი			9400.0	12009.9
<u>I. ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები</u>				
370	ფინანსური ვალდებულებები	3100		
380	ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	3210	5.0	7.4
390	გადასახდელი მოგების გადასახადი	3221		
400	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3222		
410	გადასახდელი დღგ	3223		
420	ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	3224		
430	გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის	3231		
440	გადასახდელი ხელფასები შტატგარეშე მომუშავეთათვის	3232		
450	გადასახდელი სტიპენდიები	3233		
460	ვალდებულებები მივლინებით	3234		
470	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3235		
480	დამქირავებლის მიერ ფულადი და სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით ვალდებულებები	3236		
490	სასამართლოს ან/და ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებების	3237		

შესაბამისად დაკავებული თანხები ან სხვა დაკავებული თანხები				
500	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3238		
510	წინასწარ მიღებული საიჯარო ქირა	3241		
520	ვალდებულებები წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლებით	3242		
530	გადასახდელი პროცენტები	3243		
540	გადასახდელი დივიდენდები	3244		
550	გადასახდელი საწევროები და ერთჯერადი შენატანები	3245		
560	სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები	3246	61.7	125.7
570	ფულადი და სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით ვალდებულებები	3250		
<u>II. კაპიტალი</u>				
580	წმინდა ღირებულება	5100	9333.3	11876.8
590	გაუნაწილებელი მოგება	5220		
600	დაუფარავი ზარალი*	5230		
ბალანსი			<u>9400.0</u>	<u>12009.9</u>
<u>III. საცნობარო მუხლები</u>				
საოპერაციო იჯარით აღებული				
610	ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	1		
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული				
620	მატერიალური ფასეულობები	2		
გადახდისუნარო დებიტორების				
630	ჩამოწერილი დავალიანება	3		
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები				
640	ექპლუატაციაში	4		
650	პირობითი მოთხოვნები	5		
660	პირობითი ვალდებულებები	6		
670	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	7		
680	ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	8		
690	ვადაგადაცილებული დავალიანებები	9		

ბალანსის დანართი ფორმა N2

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

(ათასი ლარი)

სტრუქტურის კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
10	1. ხარჯები	2	4754.8	7885.5	7814.9	7814.9	7779.9	7814.9	-35.0
	1.1 შრომის ანაზღაურება	21	1275.5	1682.1	1675.6	1675.6	1675.6	1675.6	-
20	1.1.1 ხელფასები	211	1275.5	1682.1	1675.6	1675.6	1675.6	1675.6	-
30	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111							
40	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111	1275.5	1682.1	1675.6	1675.6	1675.6	1675.6	-
50	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112							
60	1.1.1.1.3 პრემია	21113							
70	1.1.1.1.4 დანამატი	21114							
80	1.1.1.1.5 ჰონორარი	21115							
90	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116							
100	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							
110	1.1.2 სოციალური შენატანები	212							
120	1.1.2.1 ფაქტიურად განხორციელებული სოციალური შენატანები	2121							
130	1.1.2.2 პირობითად განხორციელებული სოციალური შენატანები	2122							
140	1.2 საქონელი და მომსახურება	22	882.5	1649.9	1605.2	1605.2	1570.2	1605.2	35.0
150	1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221	83.3	151.5	120.9	120.9	120.9	120.9	-
160	1.2.2 მივლინებები	222	9.0	13.0	10.02	10.02	10.02	10.02	-
170	1.2.3 ოფისის ხარჯები	223	163.9	231.0	221.1	221.1	220.8	221.1	0.3
180	1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224	24.0	56.2	37.1	37.1	37.1	37.1	-
190	1.2.5 კვების ხარჯები	225							
200	1.2.6 სამედიცინო ხარჯები	226							
210	1.2.7 რბილი	227							
220									

	ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები							
	1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და	228		203.4	197.9		197.9	197.9
	მოვლა-შენახვის ხარჯები							-
230			174.3			197.9		
	1.2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია- წამლის შეძენის ხარჯები	229						
240								
	1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	428.0	1024.8	1018.0	1018.0	983.3	1018.0
250								34.7
260	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23						
270	1.4 პროცენტი	24						
	1.4.1 საგარეო							
280	ვალდებულებებზე	241						
	1.4.1.1 ორმხრივ							
290	კრედიტორებზე	2411						
	1.4.1.2							
	მრავალმხრივ							
300	კრედიტორებზე	2412						
	1.4.1.3 კომერციულ							
310	ორგანიზაციებზე	2413						
	1.4.1.4 სხვა საგარეო							
320	ვალდებულებებზე	2414						
	1.4.2 საშინაო							
	ვალდებულებებზე							
	გარდა სახელმწიფო							
330	ერთეულებისა	242						
	1.4.3 სახელმწიფო							
	ერთეულებიდან							
	აღებულ საშინაო							
340	ვალდებულებებზე	243						
350	1.5 სუბსიდიები	25	2197.3	2595.9	2582.4	2582.4	2582.4	2582.4
360	1.6 გრანტები	26		1330.0	1330.0	1330.0	1300.0	1330.0
	1.6.1 გრანტები უცხო							
	სახელმწიფოთა							
370	მთავრობებს	261						
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611						
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612						
	1.6.2 გრანტები							
	საერთაშორისო							
400	ორგანიზაციებს	262						
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621						
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622						
	1.6.3 გრანტები სხვა							
430	დონის სახელმწიფო	263						

	ერთეულებს						
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631					
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632					
	1.7 სოციალური						
460	უზრუნველყოფა	27	397.0	627.6	621.7	621.7	621.7
	1.7.1 სოციალური						
470	დაზღვევა	271					
	1.7.1.1 ფულადი						
480	ფორმით	2711					
